

გადაცემა

გადაცემის პირობები... გ. მუსხიშვილის ხელმოწერა... გ. მუსხიშვილის ხელმოწერა...

„დროების“ ფასი: თბილისი... 9 მან. სამის თვის... 3 მან. მკვების თვის... 5 მან. ერთის თვის... 1 მან.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განსაზღვრისა

დღის... მთლიანი... მთლიანი... მთლიანი... მთლიანი... მთლიანი...

ამა 1882 წელს ყოველ-დღიური გაზეთი

„დროება“

გამოდის იმავე პრინციპითა და რიგით და ამავე თანამშრომლების დახმარებით, რაგორც აქამდე გამომდიდდა.

სელის-მწერა მიიღება:

თფილისში: „დროების“ რედაქციის კანტონში, გლახინის პრინციპში, თ. ივ. გ. მუსხიშვილის ხელმოწერა, გლახის ქვემოთ.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა მოითხოვან გაზეთი В Тифлисе, В редакцию газ. „Дროба“.

„დროებაზე“ და „ივერიაზე“, რაგორც ერთად, სელის-მწერა ან მიიღება.

ფასი სელის-მწერისა:

ერთის წლით: 9 მან. სამის თვით 3 ,, ნახევრის წლით 5 ,, ერთის თვით 1 ,,

სხვა ვადით სელის-მწერა ან შეიძლება. სკედილი ფული სელის-მწერა გაზეთის დახმარებისათვის უნდა გამოგზავნოს რედაქციაში. ვითხოვთ აგრეთვე, რომ თავის სხელი და გვარი დასაცხვრებულად ადგილი განკვეთილ დასწერან.

რედაქციის სერ. მუსხი. გამომცემელი სტ. მელიქიშვილი.

თავადი ივანე გრიგოლის-ძე პრინციპი და დაი მისი დარია გრიგოლის ასული ანინა გახაბლინა მწიგნობრის გულით აუწყებს რა ვარაუდებდასა დედისა თვისის მარამ გიორგის ასულის ანინა პრინციპისა, სთხოვს ნათესავთა და ნაცნობთა, მობრძანდნენ ქალაქს ბორს განსაყენებლად გვამისა მისისა, ათსა რიცხვს ამა იანვრისას კვირა დღეს 9 საათზედ.

ბატონ-ყმობის საქმის გათავაზება

სამშაბათის ნომერში „დროების“ მკითხველებმა უწყველად ყურადღება მიაქციეს ტელეგრაფის, რომელმაც გაცხრობა, რომ მემრის იანვრიდან ყმის ნადღებო სახელმწიფო ხარჯით გამოსყიდული იქნება.

ამ გვარად სასურველი დაბოლოება ბატონ-ყმობის საქმისა ანლოცდება.

ჩვენში დღევანდლამდე დიდი ნაწილი ვლახების ნადღებისა გამოუხსნელია, იმ მიზეზით რომ ხან მებატონეს არა სურს გასყიდვა, ხან გლახს ეძვირება და ამის გამო ძალიან მიძიმეთ მიდიოდა საქმეები. ამასთან უნდა დავუმატოთ ჩვენი მომრიგებელი შუამდგომელების სიზარმაცე, დაუდევრობა, უთაურობა და ზოგჯერ სულ გაუგებრობა თავისი დანიშნულებისა.

ერთის სიტყვით ძველი სამსახური და გლახის ყმობა არ იყო, მაგრამ მამულის დალა-კუთხის დარჩა, ნაყმევი ვალდებულ გლახად დარჩა. სახელმწიფო შემწევობას აძლევდა გლახსა ნადღის გამოსყიდვისათვის, მაგრამ გამოსყიდვის მორიგების ქალღლების შედგენას და დამტკიცებას ბევრმა ვერ მიაღწია.

ერთის სიტყვით დღეს საქართველოში ვალდებულებითი მდგომარეობა დარჩა ისეთს ამავეში რომ საქმე წინ აღარ მიდიოდა მეტადრე უხეირო, ზარმაც პოსრედნიკების ხელში, რომელთა რიცხვი ჩვენში მკირე არ ვახლავს.

რა შფოთის, მოუსვენრობის ბრძოლის და მუდამ უთანხმოების მიზეზი იყო და არის ვალდებულებითი მდგომარეობა ეს ყველასათვის ცხადია.

მარცხა ეს ყველასათვის ცხადია. ჩვენთვის მეტადრე სამწუხარო იყო ეს მდგომარეობა მით, რომ ჩვენ ახორბულ მიწა-წყალსა, მეურნეობას, მოქალაქეობას უფრო ძირს უთხრის ყოველივე ამ გვარა უთანხმოება.

ახლა ცხადი შეიქნა, რომ მმართველობის გარდაწყვეტილება მოხდა, რომ ვალდებულებითი მდგომარეობა ბოლო უნდა მოეღოს. ნადღების გამოსყიდვისათვის სახელმწიფოდამ მიეცემა მებატონეს მამულის ფასი და შემდეგ გლახი გადაუხდის სახელმწიფოსა ნაწილ-ნაწილად.

აქამდე ეს გამოხსნა ნადღებისა მებატონეს ყოველგვარად რაკი იყო, გვიანდებოდა. ახლა იმედი გვექნება, რომ რადგანაც აუცილებლად უნდა დახსნილ იქნას ნადღები, უეჭველია რომ საქმის გაგრძელებას არც მებატონეს ისურვებს, არც დროებით ვალდებული გლახი. თავის სასარგებლოდ იქნება პოსრედნიკებმა საქმე გააქაინებონ და დახლოდნენ.

ჩვენში საქმე როგორც ჩქარა წავა და წარიმართება არ ვიცით. მხოლოდ ახლა ამას ვისურვებთ რომ ეს ვალდებულებითი გამოხსნის ედა ჩვენშია იმ დროსვე დაიწყოს, როგორც რუსეთში და ისე არ დაგვიანდეს, როგორც ბატონ-ყმობის განთავისუფლების საქმე სამ წელს შემდეგ დაიწყო.

დღიური

თან-და-თან დესეტნიკების უსამართლობა სამზღვარს გადადის. ბუშინ წინ, 6 იანვარს, ფოჩის სტანციასთან, მიჩხოვეის სახლების გვერდით იღვა ფაიტონი, ქუჩებს დასდინებოდა. ამ დროს მოვიდნენ ორი დესეტნიკი, რომელთაც კისერში ცემით გააღვიძეს მძინარი და ითხოვდნენ მეთაიტონისაგან, რომ იმ ადგილიდან წასულიყო.

მეჩვენება უბასუხა, რომ ის ნაქირავებია და ელის თავის მქირავებელს, რომელიც მიჩხოვეის სახლში არის. ამ სიტყვებისათვის წაჰყვეს ხელი დესეტნიკებმა და სულ გადაამტკიცეს თავ-პირი მეთაიტონეს.

დამქირავებელი აღმოჩნდა ერთი საპატო პირი, გამოესარჩლა მეთაიტონეს და დესეტნიკები წაიყვანა ბოლიციასში. ძარგი რომ იმას შეეძლო, ამ უსამართლობისთვის თავის გამოდებოდა, რა უნდა ქნას იმ კაცმა ვინც საჩივრის გზასაც ვერ ვაიგებს.

დესეტნიკების 12 იყო 8 და 10. ბუშინ წინ, 6 იანვარს, წყლის

ქუთხევის შემდეგ ჯარი შეგროვდა ბალახის პრინციპებზე, სადაც მთავარმმართველის მოადგილე თ. მელიქიძე მდილო ჯარი და მოულოცა დღესასწაული.

ბუშინდელი (6 იანვრის) ბალი გამოართული „კრუჟოკში“ მთილისის გუბერნიის თავდაზნაურთა საზოგადოებისაგან შეუძლებელ მოსწავლეთა შემწევობისათვის, ჩვეულებრივ ძალიან მხიარული იყო. დიდ ძალი ხალხი დაესწრო. ამბობენ შემოსავალი ბალისა ას თუმანს გადაამეტებო.

ჩვენ შევიტყუეთ რომ 4 იანვარს ალექსანდროვის საოსტატო ინსტიტუტში შეგირდებმა წარმოადგინეს ქართულს ენაზედ თავ. რაფ. მრისთავის კომედია „ადეოკატები“; ამას გარდა იყო ქართული სიმღერა და ლექსები.

მზურგეთიდან გვეწერენ, რომ სცენის მოყვარენი აპირებენ სპექტაკლის გამართვას „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ.

ჩვენ ვეცუობინებენ რომ დიდმარხვისთვის რამდენიმე ყმაწვილი კაცი ემზადება სალიტერატურო საღამოების გამართვას. ამ გვარი დროს გატარება სასარგებლოც იქნება და სასიამოვნოც.

ჩვენ ვაგიგეთ, რომ ერთი ყმაწვილი მწერალი, რომლის სახლის გამოცხადების ნება არა გვაქვს სწერს ისტორიულ დრამას: „წამება ქეთევან დედოფლისა“. ის ისეთი შესანიშნი სიუჟეტი არის, რომ თუ ხელოვნურად იქნა შემუშავებული ნამდვილს განძათ ჩაითვლება ჩვენს ლიტერატურაში.

ვახეთს „იურიდიულ მიმოხილვას“ შეუტყვია, რომ სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განზრახვა აქვს მომავლის წლიდან რამდენიმე სა-მეურნეო სტანციები გამართოს მუთაისის გუბერნიისაში.

თეატრის შესახებ

1-ს იანვარს, ჩვენ დავსწავართ არ-წრურის თეატრში, ერთს იმისთანა წარმოდგენას, რომელიც მართლა ახარებს ჩვენს გულს.

მს განსაკუთრებით ახალი დრამა ბ. მოჩხუბანძისა „ახსენა“.

ითონ არსენაზედ ბევრი თქმულა ლექსად, თუ ამბად და ამის გამო საჭიროდ არა ვთვლი პიესის შინაარსი გადმოგვცეთ.

მე დავიწყებ იქიდან, რომ ბ. მოჩხუბარიძე, ამ ამ უკანასკნელ დროში, ცდილობს სურათების გამოღებას ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან და საზოგადოების გაცნობას ჩვენს გლეხკაცობის მდგომარეობასთან.

ჩამდენად სინიდიანიად ასრულებს ამ შრომას, იმას დაგვანახებს შემდეგი, კრიტიკული განხილვა და რაკი კაცზედ პირველ მოქმედებას შეეხება, ჩვენ არ შეგვიძლიან არ განუცხადოთ ჩვენი მადლობა ამ ახალს მწერალს, როგორც მოთხრობა „ქადაგანისა“ ვგრეთვე დროა „ახსენასათვის“. ბ. მოჩხუბარიძემ დაამტკიცა ამ თავის თხზულებებში, რომ ის კარგათ იცნობს კაცის გულს და შეუსწავლია იმისი მოძრაობა.

ამისათვისაც ისეთის გულ-მოდგინებით დასაჩუქრეს „ახსენას“ ავტორი, მრავალ-ჯერ ტაშის კვრით და ბრავოთი.

მოთამაშებულადაც სალაპარაკო არ არის, რადგანაც ყველამ ძალიან კარგათ იცის, რა რიგათაც თამაშობენ ჩვენს ნიჭიერი აქტიორ-აქტრისები იმ გვარ პიესებში, რომელიც-კი ჩვენი ცხოვრებიდან იქნებიან აღებული ამ საღამოს თითქოს თავიანთ ნიჭსაც-კი გადააცილეს.

ითონ სიკვდილის წამი ბენეფიციანტმა (ახსენას) და ერთბაშით გაგიჟება ბ. ხერხეულიძისამ ისეთის ხელოვნებით წარმოადგინეს, რომ მთელი თეატრი,—მტერი-თუ მოყვარე აღდაცემაში მოიყვანეს.

შს პიესა საესეა ეფექტებით, სცენებით, რომელიც არ არღვევს პიესის გარმონიას და კიდევაც შევლის არსენას ხასიათის გამოაშკარავებას.

„დროების“ ფელტონი, 8 იანვარი.

სცენები

მთაში მოდის სომეხი, რომელიც მოეცურება მთელინს. პობში ეუბნებიან, რომ გზა შეკრულია, მაგრამ სომეხი მაინც ცდილობს როგორც იყოს გადმოვიდეს მთაზედ.

— შენ ვერ გადამიყვან? მიუბრუნდება ერთს მოხვევს.

— რად არ გადამიყვან?

— აბა მაშ ჩქარა, კარგს ფულს გაჩუქებ.

— მაჩუქებ და აი მარხილიც მზათა მაქვს.

— მაშ დაუწყებ ბარგი.

— აგრე, უპასუხა მოხვევმა და წამოაგლო ხურჯინს ხელი, რომლის პირიდანაც რომის ბოთლის სამაცლუნოთ ამოიყუთა თავი.

როდესაც მთას შეუღუნენ, მოხვევმა დაიწყო ლაპარაკი.

— მართი შენისთანა გოსპოდინაი მიყვანდა ესე მთაჩიგა... მგეთ ხურ-

მართის სიტყვით ეს პიესა ისეთი პიესათაგანი არის, რომელიც ძვირფასოთ ჩაითვლებოდა სხვა ენის რეპერტუარშიაც, არამც თუ იმ პირების სიღარიბეში რომელიც ჩვენი გვაქვს.

მოზენფისე საზოგადოებამ დაასაჩუქრა მრავალის ტაშით და რამდენიმე ნივთით.

სალამომ გაიარა მხიარულად და სიამოვნებით.

დასაბოლოებლად ჩვენ ერთს რჩევას მივცემთ „არსენას“ ავტორს, რომ ის ერიდოს მეტის-მეტად ჩქარ-ჩქარ მონოლოგებს. იმ პიესებში, რომელიც წარმოსადგენად არის დანიშნული; შეიძლება ორი სამი მონოლოგი დაავდოს მომეტებული-კი აღარა. „არსენაზედ“ კი შეიძლება თქვას კაცმა, რომ ის საესე იყოს თავ მოსაბეზრებელი მონოლოგებით, მაგრამ ჩემის აზრით ორს ადგილს-კი შესწორება ეჭირება. მართი, სადაც გლეხ-კაცის ხარზედა ლაპარაკობს არსენა, მესამე მოქმედებაში და მეორეც აღარ მახსოვს მესამეშივე თუ მეორეში, საცა კიდევ თედოს, ელაპარაკება.

შეასწორეთ ეს ალაგები, ბ. მოჩხუბარიძე და გაძღვეთ სიტყვას, რომ საჩინო ადგილს დაიჭერს თქვენი პიესა ჩვენს რეპერტუარში.

ჩვენ შევიტყუეთ, რომ ეს პიესა ორ კვირაში დაუწერია ავტორს... მართლა განსაცვიფრებელია, თუ ეს მართალია.

ხმა ზუბლიკიდან.

„დროების“ კორამსკონდენსიები

ხევი. საკმაოთ ყოფილა ნალაპარაკევი ჩვენს ქურნალ გაზეთში, სახალხო განათლებაზედ, იმის სარგებლობაზედ და საჭიროებაზედ, მაგრამ აქამდინ ჯერ კიდევ ღირსეული ყურადღება არა აქვს მიქცეული ამ საგანს. არა აქვს ამიტომ რომ ისე აგვიანე-

ჯინაი ჰქონდა იმასაცა, ბუთლიკასაც ვგრე ამოიყუთა თავი...

— ჰო, მერე?

— მერე, შენაი ჰირაიმე დამიძახა: „ეი კაცო!..“ — ჩიტო, ბარინ-მეთქი? — „დასტან ბუთლუკუო“. — მეც ამოვიღე ბუთლუკაი... — „ეი სამო!“

— მეც ამოვიყუთე ბოთლი და მოვიყუდე... ბატარაის მეტი არ დავლიე, მრცხვენოდა.

— ძალუმ გასპადინაი იყო, ღმერთმა მოუმართოს ხელი.

სომეხმა პასუხი არ მისცა და სიჩუმე ჩამოვარდა.

— მთა რასმე იბუღება. დაიწყო ისევე მოხვევმა.

— ზევი ხომ ჩამოვა? იკითხა სომეხმა.

— აბა რაი ვიცი, ქარი კი ისე დაჰქრის და.

— მაშ ჩქარა გაატარე ცხენი და?

— საით გავატარო, ცოდოა.

— მა, ცოდო რომელია?... მაშ ზევაა რომ ჩავეიტანოს?

— რაი უყო.

ბენ ამ საქმის შესახებ სოფლის გადაწყვეტილების დამტკიცებას და იმის აღსრულებაში მოყვანას.

ამის მაგალითი არის ს. სტეფან-წმინდის გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც თითქმის ერთი წელიწადია რაც დასამტკიცებლად არის წარმოდგენილი და აქამდისინ ჩვენთვის არავითარი თვალთ საჩინო სკოლის გახდასთან დაახლოვება არ ჩანს.

შველამ ძალიან კარგათ იცის, რომ მარტო სწავლასა და განათლებას შეუძლიან გადააჩიოს ხალხი იმ ცრუმორწმუნოებას და მანებელ ჩვეულებათა, რომელსაც ისე მკვიდრი ძირი გაუდგამს ჩვენს მთის ხალხში. შოველივე იმათი გადაწყვეტილება მიცვლებულაზედ ხარჯების შემოკლება, ქვრივების მეორეთ გათხოვების დროს შევიწროებაზედ და სხვა დარჩება ამოა ხმად, თუ კაცის ჰქუა სწავლით და განათლებით არ დარწმუნდა იმათ უხეირობას და ენებას ცხოვრებაში. შს ისეთი ჰქმარტებაა, რომელსაც ყველა აშკარად უნდა ხელმძღვანე და თანაშემწეობდეს ხალხის ზნეობით ასამაღლებელი სკოლების გამართვას.

სტეფან-წმინდის საზოგადოებამ ძლივს მოიყარა თავი, ძლივს გადაწყვიტა სკოლის გამართვა, ძლივს იკისრა საჭირო ფულის ხდა და როდესაც ეს ყველაზედ ძნელი ადგილები გაიარა სკოლის გამართვამ, ერთბაშად ჩვენგან გაუგებელი მიზეზები აბრკოლებს იმის გახსნას და სწავლის დაწყებას...

არა კმარა, რომ ჩვენ ხალხს ვერ ვაძლევთ იმ საზოგადოთა სკოლებს, რომელიც სრულიად აკმაყოფილებდნენ პედაგოგიურს პირობით, რომ იმასაც უგვიანებოთ რისიც მიცემა ჩვენს ხელთ არის?

სტეფან-წმინდის სკოლის გამართვას მარტო ის შედეგი-კი არა აქვს, რომ

— თუ ძმა ხარ გაჩქარე, რა ხუმრობაა.

მოხვევს უფრო ნელა მიჰყავს ცხენი, სომეხი ფითრდება, სიჩუმე რაოდენიმე ხანს.

— მართი შენისთანა გოსპოდინა მიდიოდა, დაიწყო ისევე მოხვევმა. აი, იმისთანაი აღარ იქნება, ღმერთმა მოუმართოს ხელი.

— ბიჭო, რა დროს ხელი არის?.. მამა გიცხონდა გაატარე ეგ ცხენი და.

— რაისათ კი გავატარო?... ცოდოა ცხენი.

— მაი!

მოხვევს დაყენებს მარხილს, წყნარა ჩამოხტება მარხილიდან და მოუფლის ცხენს, რომელსაც ღუგასა და ხამუთს უსწორებს.

— აი, ამ ადგილას იცის ძალზედ ზევები. დაიწყო ისევე მოხვევმა და შეუშვირა სწორეთ იმ მთას ხელი, რომელზედაც მოდიოდნენ.

— ბიჭო და იმიტომ დაყენე ცხენი?

— მართი შენისთანა გასპადინაი მო-

იმის პატარა მოზარდებს სწავლას მიცემს, არამედ კიდევ ხმ წაჩუქდნელს მოიტანს, რომ იმის მძიმე სხვა სკოლებშიაც გაიმართება სკოლები, რადგანაც მთაში სტეფან-წმინდა თაობს და ძველადგანვე მაგალითად არის გამხდარი დანარჩენი ხევის სოფლებისთვის.

მე არა ერთხელ მითქვამს სკოლების გამართვის იმ სიადვილებზედ, რომელიცა აქვს ზოგიერთს ხევის სოფლებს ეს გახლავთ ის ძველი სტანციების ყოფნა, რომელიც გადაცემული აქვით სასულიერო წოდებას და რომელშიაც ღვედელ-ბლალოჩინებს უყენიათ სხვა-და-სხვა ნათლი-მამ-ნათლი-ღედები, ძუძუნ-კუკუნები, ვაჭრები და სხვა...

მე მგონია, თუნდა ადგილობრივი სასულიერო წოდების პირთ არც-კი მოინდომონ ამ სახლების დათმობა სკოლებისთვის, მისი ყოველად უსამღველოებობა ეგზარხოსი დიდის სიამოვნებით დაუთმობდა იმ შენობებს.

ამის და გარედ, არ იქნება არა ვსთქვათ, რომ ეს სახელები, მაგალითად ს. პობს, ბლალოჩინი იტონიევი ისეთს პირებს აძლევს ქირით, რომელნიც თვალ-ყურსაც-კი არ იქვრენ და მოუვლელით ქანგდება და იხვრიტება ქეშტის ბანი და ძალზედ ძველდება შენობა.

ჩვენთვის ძალიან სასიამოვნო იქნებოდა შეგვეტყო, რა მიზეზითა დგას ამ შენობაში ანდრაშვილი ვაჭარი, უჭირათა და თუ ქირას აძლევს, ვისის ჯიბის გასაზღვლად მიდის ეს ფული? ა. მ.

რატა, 29 დეკემბერს. რაჰის მაზრის უმთავრეს გზებათ ითვლებიან: ერთი დ. მნიდგან მიმავალი ნაქერალას მთით ქ. მუთაისში; მეორე დ. მნიდგანვე მიმავალი მსეთის ძულაროს

ლიოდა, პასუხის მაგიერად დაიწყო ისევე მოხვევმა.

— მა, ჯანი გავარდეს იმ გასპადინასაც, გაიარე.

— მერე შენსავით ხურჯინაი ჰქონდა.

— ზაიარე მამა გიცხონდა...

— მერე ხურჯინის პირიდან ბოთლი ამოჩანდა...

— მაიმე, გაიარე თუ ძმა ხარ, თითქმის ტირის სომეხი.

— გასპადინამ დამიძახა: ეი კაცო!

— ბიჭო, შე უღმერთო, ზევი არ ჩამოვიდეს რას სხადი?..

— დასტან ბუთლიკაო...

— ძარგია, კარგი...

ამ დროს ერთ მხარეს მთაში იქვნებს და ზევი წამოვა, სომეხი თითქმის მიწაზედ გაეკრობა ყვირილით.

— მააი!

— დასტან ბუთლუკაო და პეი სა მო, დამმეიდებულათ უპასუხებს მოხვევს.

— ბიჭო, იქნება შენ ეგ რომი გინდა?... ჰკითხავს სომეხი, რომელიც ძლივს მოდის გონსა.

ხეობაში და მესამე, შერეულ მიმ-
ვალი სახერხეში; ეს გზები არიან
უფლებსათვის საჭირონი, ხოლო და-
ნაშთენი გზები ითვლებიან სოფლის
გზებათ, რომლებიცა უნდა კეთდე-
ბოდენ სასოფლო საზოგადოების ხ.რ-
ჯითა და სოფლის ყრილობის განაჩე-
ნით.

უწინდელს რაჭის უფლის ნაჩაღ-
ნიკა, თავ. ჩიჯავაცეს, თითქმის მოუ-
სვენებელი მზრუნველობა ჰქონდა
ზემორე მოხსენებულის სამის გზების
კეთებისათვის; ძლიერ გასწორებულ-
ნიც იყვნენ და თავისუფლად შეგედ-
ლოთ სამის წლის წინეთ ამ გზებზედ
მოგზაურობა. მხლა კი ყოველად გა-
ფუჭებულნი არიან,—ვინ აქცევს ყუ-
რადლებას?!...

რადგან ეს სამი გზა ამისთანა ცუდს
მდგომარეობაშია, ამის გამო ერთხელ
უფლის უფროსს ჰქონდა რჩევა მათის
შეკეთებისათვის. რჩევაში პრისტავე-
ბიც დაესწრენ, ერთმა მათგანმა ბ.წ.მა
ჰანელიძემ რჩევაში მოახსენა უფლის
უფროსს, რომ ზემორე მოხსენებუ-
ლის გზების კეთება შეჩერდეს და ნა-
ცვლად მათისა შეუდგენენ ზნაკის
გზის კეთებას რადგან ამ გზით ყო-
ველ წელს ნიკორწმინდის საზოგა-
დობა (სადაც ჰანელიძეს აქვს სახ-
ლი) ვხიდება რთველზედ ღვინოს.

აზრი პატივცემულის მრჩევისა
სულ—გრძელის და წინდახედულის
უფლის უფროსის მიერ იქმნა მოწო-
ნებული. შეუდგენენ ზნაკის გზის კე-
თებას*). მეტლანე ჰანელიძემ ძვირ-
ფასს ყანებზედ გაიყვანა გზის პლანი,
ზოგმან კი გაახარა... ღარიბებს კი
ალარა ეშველა—რა. ბაეჭრათ ყანები,
მოერღვიათ ღობეები და დაუნგრის
ყარებები, ჯიბეები შეიმსუბუქეს, და
ესლა თავი მაღლა მოაქვს.

წასრულ წლის იენისში როგორც
იქმნა გათავდა ყველასთვის უსარგებ-

ლო ზნაკის გზის კეთება. ზეგონა
ეშველა ჩვენს ხალხს, მაგრამ, თქვე-
ნი მტერია, იელისის თვეში ბუგეუ-
ლის ხილდგან ჰანელიძემ დააყენა
შვილი საზოგადოების მუშა ხალხი
გზის კეთებას. ეს გზა უნდა მივიდეს
ღვარღის მდინარე შარეულას პირამ-
დინ და აქედგან გზამ უნდა იაროს
წყლის პირათ ვიდრე ნიკორწმინდის
სოფლამდე.

ჰერ არა გასჭრია გლეხებს და არც
სხვას, მაგრამ როგორც ბ.წ.მა ჰანე-
ლიძის პლანია ისრე თუ გზა წავიდა,
ბევრი ზარალი მიეცემა საწყალს ჩვენს
მცირე მამულიანს მცხოვრებლებს,
ვგანებ ხალხი წინ დაუდგეს ამისთა-
ნა ხალხის მაზარალებელს მოქმედ-
ებას.

რა უნდა ვიფიქროთ მასზედ, რომ
დიდი უფლის გზები მიტოვებულნი
არაიან უკეთებლად და სასოფლო
გზების კეთებისათვის ჩვენი პრისტავე
თავს იკლავს ან რა უნდა ვსთქვათ
მასზედ, რომ ძველმა რაჭაში ასრე შე-
წუხებულია ხალხი გზების კეთებისა-
თვის და ზემო რაჭაში გზებზედ არა
ვითარი მზრუნველობა არა სუფევს?
მიზეზი უნდა იყოს, მაგრამ თქმა არ
შემიძლია,—ცხენი არ მყავს შეკაზმუ-
ლი.

დაბა მნის ხიდის კეთებასაც აპი-
რებენო.—ძარგი და ბედნიერი! შვი-
დი ათასი მანეთი გაუტანიათ ხაზინი-
დგანო ამ ხიდის ასაშენებლად. ამას-
თან მოგახსენებენ, რომ ყოველივე
მასალის მოტანას ხალხს უპირობენ
შეწერას უფასოდ.

მგონებ არას მაზრაში არ უნდა
იყოს იმოდენი ძველი შინაურულნი
საბუთნი, რაოდენიცა რაჭის მაზრაში
აქვსთ დროებით ვალდებულთ გლე-
ხებს.

რომელიმე მიროვის პოსტდენიკი
რაჭის მაზრისა თითქმის 1868 წლი-
დგან შეუდგა ამ ნაირის საბუთების

რომ დაორსულდი და კარში გამა-
მაგდო, აღარც საქონელი დამანება
და აღარც ჩემს შვილს ჯამაგირი მის-
ცაო. ღრო რომ მოვიდა და ის ჩემი
შვილი ვმობეო იმისგან ნამრუშები,
სამი წელიწადი მაზღვინაო, სამს
წელიწადს უკან მე გადამობა და
შვილიც წამართო. მსენი ჩვენ მდივა-
ნებგმან სარიდან და ზაალ გამოე-
კითხეთ და შევიტყვეით, რომ რაც
ზემოთ სწერია ყველა მართალი ყო-
ფილიყო. რადგანაც ამ დედაკაცის
ნებისითს საქმით მომხდარა და იმუ-
ლებით არა ყოფილა, ამისთვის სის-
ხლის ნახევარი გაუჩნდება და ნახე-
ვარს სამართალი ჩაატარებს, დედაკა-
ცის ნება მიცემისათვის გლეხის კაცის
სისხლის ნახევარი იქს ექვს თუმან-
სა*); ეს უნდა დაუფროს ჰიჭიკომ
ბარაჩაშვილს ამ დედაკაცის პირველს
ქმართან შობილს ბიჭსა, თავისის

*) ვახტანგ მეფის სამართალით გლე-
ხის სისხლი თორმეტი თუმანია.

განხილვას და რომელიმე ყურიც არ
უგდო, გლეხები კი ამ ნაირს მირო-
ვის პოსტდენიკს ან გლეხთათვის სთელიან
რადგან ის იმათ აკმაყოფილებს ალექ-
სიანის სიტყვებითა.

1878 წლის აგვისტოს ხუთდგან
კანონით მიროვის პოსტდენიკებს
მიენდო განხილვა და გარდაწყვეტა
დაეისა შინაურულად საბუთებთა მებრ
და მინამდინ ყველა პროტოკოლები,
შედგენილნი მიროვის პოსტდენიკე-
ბისაგან წარდგებოდნენ მათ მიერ
გუბერნიის საგლეხ-კაცო საქმეთა სა-
სამართლოში, გუბერნიის სასამართ-
ლო განხილავდა ესრეთ 8—10 წლის
შემდეგ.

რომელიმე მიროვის პოსტდენიკი
რაჭის მაზრისა, დიდგან მიღებისა
უმაღლესად დამტკიცებულის კანონ-
თა, ხუთსა აგვისტოსა 1878 წელსა
ერთგულად და მუყაითად შეუდგა
მაშინვე გლეხების საბუთების განხილ-
ვასა და გარდაწყვეტასა, რომლითაც
ბ.ბ. მამულის მებატონეები მოუსვე-
ნებლნი შეიქნენ პასუხის ძლევითა
გლეხების ძიებაზედა.

მეორე მიროვის განყოფილებაში
რაჭის უფლისა რაოდენიმე ათასი სა-
ბუთი ითვლებოდა, ესლა ამ საბუთე-
ბის რიცხვმა დაუძინებელის შრომისა
გამო იქაურის მიროვის პოსტდენი-
კის თ. შიფიანისა 500-მდე მიაწია.
პირველს განყოფილებაში განჩინებით
ოცის მეტი არ გაუქმებულა. უნდა
უმაღლესთ იმ გარემობას, რომ გლე-
ხებში განხირებულია მამულების შეს-
ყიდვა და შესყიდვისათავე შინაუ-
რულს საბუთებსაც აუქმებენ.

ზოგიერთის მიროვის პოსტდენი-
კის ზარმაცობით გლეხები ჰკარგვენ
უფლებას მოპოვებულს. უწინდელს
დროში შინაურულ საბუთებისა მებრ
მიწებზედა, მისთვის რომ გლეხს შე-
უძლია წინააღმდეგს შემთხვევაში

დღდის საუბატიო. ამისგანც ბატონმა
იპატივა ერთი თუმანი, აგრევე მო-
სამართლებმაც იპატივეს ერთი თუ-
მანი, დარჩევა ოთხი თუმანი. ისაუღ
ბებურიშვილი შამაზ, ეს ასე გაური-
გე და თუ რომ ან საქონელს შეუ-
ვიდეს და ან საჯამაგიროსა, ისიც თა-
ვის ანგარიშით გაურიგე. აპრილს
ქორონიკოსა უნა“ (აქ სამი ბეჭედი
უზის.

ზევიდამ ცერათ აწერია კუთხეში:
„მ. ჩვენ მეფე მრეკლე ამა მდივან-
ბგვთაგან გაჩენილს სამართალს გამ-
ტკიცებთ. აპრილის კვს ქორონიკო-
სა უნა. მრეკლე.

2) „მ. ჩვენი ბძანება არის ზღაპა
აბდარი და სვიმონ მეჯურუმე. მერ-
მე ამას წინათ ამ ჩვენის ხელ-ჯოხი-
ანის ბაბრიელას ძმისწული სივხედ
ერთ მულადელს თათარს და ერთს
თელ-ველს კაცს მოეკლათ. ამასზედ
რამთენჯერმე ჩვენთან და მდივანბ-
გებთან ამათმა საჩივარმა გაიარა და
განაჩენიც მაცა. ის სომეხი კი დაჭე-
რილი არის და იმ თათრისაგან რამ-

დამტკიცოს სინამდვილე მისთვის შეჭე-
ნისა იმა პირების ჩვენდამოუკრემე-
ლიცა იჩვენებთან მათს საბუთებში
მოწმებდად და გამსყიდველად მიწები-
სა. მაგრამ რადგან მიროვის პოს-
ტდენიკი არ ჰკიდებს დიდხანს გლეხის
საბუთს ხელს, ამის გამო ეს მოწმები
და გამსყიდველები მაწმებისა იხრცე-
ბიან რომლითაც გლეხის ძიებანი
შთებთან დაუმტკიცებლნი.

მთავრობამ ამ ბოლოს დროს დაი-
ნახა მიროვის პოსტდენიკების ან გა-
რიშებიდამ, რომ, რომელიმე მათგა-
ნი არ ასრულებს თავიანთ თანამდ-
ბობას და განაჩინა, თუ მომავალს
დროშიც ასე მოიქცევიან, მაშინ უ-
შრომლობისათვის (за бездѣйствіе)
იგინი იქმნებიან სამართალში მიცე-
მულნი. მაგრამ თქვენი მტერია, სამ-
კალი მრავალ არს და მომკილი ცო-
ტა.

შეთათისს გუბერნატორმა ცირკუ-
ლიარი გაუგზავნა მიროვის პოსტდენ-
ნიკებს, რომლითაც აღუკრძალა მათ
მის ნება დაურთველად, მათდა მინ-
დობილს განყოფილებიდან გარეთ
გასვლა. მინ უყურებს ამას?... თვეო-
ბით და ორ თვეობით ბრძანდებიან
იგინი შუთათისში. რა აკლდებათ? 166
მანეთს და 66 კაპ. შინც კი მიიღე-
ბენ ხაზინიდან ყოველ თვეს.

მაინკელი.

თფილისის სამაჰრანლო

ავათმეოფები მიიღებთან დიდის რვა
სასათიდამ თორმეტი სასათადის.

ო რ შ ა ბ ა თ ს. გარდალეხისი და ლი-
სიცივი—შინაჯანს ავათმეოფებისა; კელ-
დიში სიფილისტიკური და სირურგიული
ავათმეოფებისა; ბასუტკავი—ბუბიაბის,
ქალების და ემწველების ავათმეოფები-
სა; ბაზაუკი მარდკების სისუსტის და ში-
ნჯანს ავათმეოფებისა.

ს კ მ შ ა ბ ა თ ს. მინკევინი—სირურ-
გიული ავათმეოფებისა; ლისიცივი—

დენიმე საქონელი სისხლში მიეცა.
ახლა ჩვენ რომ აქეთ წამოვედით
ქალაქილამ, ნინია ზაალისშვილს ჩვენს
უბძანებლივ ის თათრის საქონელი
ამ ბაბრიელისათვის გამოურთმევი
და წაუსხამს. ეს არ უნდა ექნა, რომ
უჩვენოთ ის საქონელი წამოუსხამს.
თუ სიტყვა ჰქონდა რამე, ჩვენთვის
უნდა მოეხსენებინა. ახლა უნდა მი-
ხედეთ ნინიასთანა და ის საქონელი
გამოართვათ და ამ ბაბრიელას მოს-
ცეთ,—უამილობა არ იქნება. ნინიასა
ჰყვანდეს ის საქონელი თუ თათარს,
ისევე უნდა წაართვა და ამას მოაბა-
რო. ამასზედ ბეგვითად უნდა მოიქცე
და ეს ასრე აღასრულო, თვარემ იცო-
დღე, შენ გარდაგხდება. მისს ია: ქო-
რონიკოსა უბე. წ.

მ. თუ ამისი გული არ შეიჯერია
და რაც საქონელია ყველა უკლებათ
ახლავე არ მოსცა, მამის ჩვენის მხემ,
ერთი ათათ წაერთმევეთ და კიდევ
გარდაეხდებიან.“ მრეკლე

— ძალიანა ცივა, ღეთის მადლმა.
— შე ოჯახ აშენებულა იტყუადი
ეგრე და თუნდა სულ შენ მოგცემდი
მაგ ბოთლს... ამოიღე და დალიე.

მახევე სევამ რომსა, დაუჯდება
მარხილს და რამდენიმე წუთის განმე-
ლობაში სამშვიდობოს გაჰყავს გულ-
გახეთქილი სომეხი.

ა. მონსუბარძე.

ისტორიის მასალა

ჩვენ უწინდელ სამართლის წესებს
ცოტათ, თუ ბევრად გვაჩვენებს ძვე-
ლი განჩინებანი მდივანბგვებისა და
თვით მეფეებისა. მრი ამ გვარ ძველ
დოკუმენტს ამისათვის ვბეჭდავთ:

1) „მ. ბარაჩაშვილის რძალი ანა
ჩიოდა: ზიარს ხიზნად მოველ ძიტა-
შვილის ჰიჭიკას სახლში, საქონლით
და შვილით შინ შემეყვანაო; შვილი
მეცხვარედ დააყენა, წელიწადში ხუთს
მინალთუნს დაპირდაო და მეც შინ
მიმსახურებდაო. მერმეჩემისავე ნებით
ჩემთან ისიძვო და დაორსულდაო.



შინაგან ავთმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავთმყოფობისა; ბასუტაკი—ბუბიაობის, ქალების და უმწვილეების ავთმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავთმყოფობისა.

ოთხშაბათს. ლისიცევი და მირმანოვი შინაგან ავთმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავთმყოფობისა; ბასუტაკი—ბუბიაობის და უმწვილეების ავთმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავთმყოფობისა.

ხუთშაბათს. ლისიცევი—შინაგან ავთმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავთმყოფობისა; ბასუტაკი—ბუბიაობის, ქალების და უმწვილეების ავთმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავთმყოფობისა.

შარასკეკს. მინკევიჩი—სირურგიული ავთმყოფობისა; ლისიცევი, მირმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავთმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავთმყოფობისა; ბასუტაკი—ბუბიაობის, ქალების და უმწვილეების ავთმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავთმყოფობისა.

შაბათს. ლისიცევი—შინაგან ავთმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავთმყოფობისა; ბასუტაკი—ბუბიაობის, ქალების და უმწვილეების ავთმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავთმყოფობისა.

ანგრანდინ ცხენის ხარჯის აკრება მინდობილი აქვს აღმსრულებელ ჩინოვნიკს ვარანთელს, რომელსაც ამისთვის მიწემული აქვს წესიერი გვიტანციის წიგნი,—და ამის გამო ცხენების მეზატრანენი მოვალე არიან იმას წარუდგინონ რაც ცხენების ხარჯი აქვსთ შემოსატანი და გამოართვან ჯეროვანი გვიტანცია; შეუძლიანთ აგრეთვე შინ-და-შინ უზნაგაშინაც წარადგინონ ეს ხარჯი. (3-3)

ი. და ვ. ვილაძეთა წიგნის მალაზია ქუთაისში

ბულგარის პირდაპირ, სობორას გვერდით. რომელსაც წინედ პ. ზ. ბერარდის მალაზია ერქვა, დღემდე ჩვენს ხელში ვადმოვიდა. მხარობთ ყოველს ღონის-ძიებას, რომ მალაზიის საქმე კიდევ უფრო კარგად წაიყვანოთ ყოველ-მხრივ, ვიდრე დღემდის იყო. იმედი გვაქვს პატივცემული საზოგადოება არა თუ არ მოაკლებს თავის ყურადღებას ამ მალაზიას, რომელიც მუდამ მისს სიამოვნებას ცდილობდა, არამედ უფრო ყურადღებას მოგვაქცევს ამიერ. მალაზიას აქვს ყველა სასწავლებელთათვის ყოველ-გვარის სასწავლმდგანელო და სელსასუბი.

მრავალი საკითხავი წიგნები ქართული და რუსული, ნოტები და სხვ. მალაზია იღებს ხელის-მოწერას ყველა ყურნალ-გაზეთებზე სარედაქციო ფასით. (5-4)

ინგლისის მალაზიაში ახლად მიღებული დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე იპილვა: შარესინა 40 კაბ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაბ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100-54)

ლონდონის მალაზიაში გამოცემულს ბანკის ქვეშ დაასრულებია ნამდვილი ჩინოვანსაყიდათ შირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებ: თოფებისა, რეკლავებისა, კლიტებისა, ჭურჭლებისა, გრავატებისა, დანებისა, ვოვზებისა, ჩინიკებისა, შოკლადისა, გაკასი, დუბებისა, სპანისა, შოკ კებისა, ცხვირ-სასრცისა, ქაღალდისა, კანანდაშებისა, კაღებისა, უნაგრებისა, სუერისისა (გემრიელი გლეშინი ზეთისა) და სხვ. სააგენტო მანკინტაის მოსასურავებს გასასყიდად კანფეტების და ბატკურის და კამ. მურაბისა, აგრეთვე ჩუქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭკანასკიანები. (100-61)

25% ნაკლები [ქვეშ] [სხვა] [ქვეშ] ჩინი, გაკაო, შველადი, ბისკვიტი, მურაბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქნები, ბაკლები, თუფები, ჩინიკები, სუდოკები, ფოდნოსები, შირის-სასანი, კლიტები, სამურკელი, ტანისამოსის საკიდი, ვოვზები, დანები, კაღები, ქაღალდი, კანფეტები, რეკლავები, კანანდაშები, თოფები, რეკლავები, კანაგები, შლამხები, ვანები, ქამრები, საყელურები, კლიტები, უნაგრები, ღაგები, უთოები, ტანსტები, შირისსა-ცდი, ცხვირის-სასრცდი, ხუჭები, ტუალეტის საპანი, დუბები, შარბათი, ციტმატმაგნეზია, ქინას ღვინო, შოკრ-ტეინი, ხერესი, კონიაკი და ათასი სხვ. რამეები,—ინგლისის მალაზიაში. იქვე ჩაი ვაჭარათთვის ხარდათ: თუთობით 40, 46, 52 და 58 მან. და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. 10 კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80., და უპირველი ხარისხისა 2 მ.—წონა უქაღალდით.

თოფები 20-60 მან., ჩოკ-ბორ (choke bore) George Dau-ს ფაბრიკამ—120 მან. რეკლავები 4-34 მან. და ბულდოგისა 11-20 მ. ქაღის უნაგრები 65 მან-დამ; შეფილდის დანები ხანგლებით 3 მან. 50 კაბ-დამ დუქ., ალბომები ხანგვარ ფასად, ფილტრები და სხვ.

ყველაზედ უძრავესი ამოწმება თოფებისა და რეკლავებისა თფილისში. (100-60)

განცხადებანი

პირუტყვით მფარველი საზოგადოებრივი საჩუქრით, გერტიშვილის სახლში. ავთმყოფი პირუტყვი საქონელი მიიღება დილის 8 იდამ ვიდრე 11 საათამდე, გარდა კვირა უქმებისა და ტაბელის დღებისა,

პატივი მაქვს გამოუცხადო სუვეელა მოვაჭრეებსა, რომ იანვრიდან უბილეთოდ მოსვლა თფილისში აკრძალულია; ვინც არ ექნება ბილეთი, დაბისჯება; ამინათვის ვთხოვ ყველას ჩემს მოვაჭრეებს, იქონიონ ყოველთვის ბილეთი. კომისიონერი გ. ი. რატიანი. (5-2)

მედიცინის დოქტორი ტერ-ჯანიანცი მიიღებს ავად-ყოფებს დილის 7 საათიდან შუადღის 12-მდე. სოლოლაკი, ბაღის ქუჩა სახლი მთუთუნოვისა № 34. (5-5)

ქალაქის გამგეობისაგან თფილისის ქალაქის გამგეობა ამით უცხადებს საყოველთაოდ ქალაქის მცხოვრებთა, რომ მომავალ 1882 წლის 1 იანვრიდან 1883 წლის 1

ხელის-მოწერა 1882 წლის

ივერიაში

ამ 1882 წელს ყურნალი „ივერია“ გამოადა იმავე სახით და სავრცით, როგორც 1881 წელს გამოადადა.

შურნალში იქნება სამი განყოფილება: 1) ბელეტრისტიკული—რომანები, მოთხრობები, პოემები, წერილი ლექსები, როგორც ორიგინალური, ისე საუკეთესო თხზულებათა თარგმანი. 2) წერილები ისტორიული, კრიტიკული, ეტნოგრაფიული, მოგზაურობა და სხვ. 3) ქრონიკა: ამ განყოფილებაში განსაკუთრებული ყურადღება ექნება მიქცეული „შინაურს მიმოხილვას“. რედაქცია ყოველთა ღონის-ძიებით ეცდება, რომ არაფითარი საინტერესო მოვლენა ჩვენს ცხოვრებაში უყურადღებოდ არ დასტოვოს და შეძლებისამებრ ჩვენს ქვეყნის ყოველს კუთხეში იყოლიოს სანდო პირნი ცხოვრებისათვის თვალ-ყურის სადევნელად. ბარდა შინაურის მიმოხილვისა, შურნალში იქნება აგრეთვე რუსეთისა და რუსთა ქვეყნების მიმოხილვა—რედაქცია ეცდება თვისა-და-თვის თავზედ წარუდგინოს მკითხველს ყოველივე, რაც კი გარეშე ქვეყნებში შესანიშნავი მოხდება. სამეცნიერო ქრონიკა—წერილები სხვა-და-სხვა სამეცნიერო და ჩვენს ქვეყნისათვის საინტერესო საგნებზედ. თეატრი—გარეული იქნება კრიტიკულად ჩვენს სცენაზედ ნათამაშები პიესები და აგრეთვე აქტორ-აქტრისების ხელოვნება. ახალი წიგნება—გრცელი კრიტიკა და შენიშვნები ახალს ქართულს წიგნებზედ და აგრეთვე უცხო ენით დაბეჭდილებზედ, რომელნიც ჩვენს ქვეყანასა და ხალხს შეეხებიან. სხვა-და-სხვა ამბები—მეცნიერებისა და ლიტერატურისა.

წიგნები „ივერია“ გამოადა ყოველს თვისა-და-თვის დამდებს. ხელის-მოწერა მიიღება მხოლოდ მთელის წლით.

შ ა ს ი

„ივერია“ 1882 წლისა (თორმეტი წიგნი) 7 (შვიდი) მანეთი. ვისაც ერთად შემოტანა არა სურს, შეუძლიან ოთხი მანეთი პირველს იანვრამდე შემოიტანონ და სამი მანეთი პირველს მისამდე.

შურნალზედ ხელის-მოწერა მიიღება „ივერია“ რედაქციაში, რომელიც იმყოფება მთა-წმიდაში, ხევს ქუჩაზედ, შარესაშვილის სახლებში, № 9 და აგრეთვე შავერდოვის სააგენტოში, ალექსანდროვის ბაღთან.

ძალაქს გარეშე მცხოვრებთ ფული და წერილები შემდგვის აღრესით უნდა გამოგზავნონ:

Въ Тифлисъ. Въ редакцію журнала „ИВЕРІА“. (3-3)

ისპილვბა

- 15,000 თეფში 1 ხარისხისა, თითო 15 კაბ.
- 12,000 ბროლის სტაქანი თითო 25 კაბ.
- 10,000 ბაკალი და სტაქანი თითო 10 კაბ.
- 10,000 ფოდნოსი და გასაღები თითო 15 კაბ.
- 10,000 ნეესი, 8 კ. 40-მდინ ასი.
- 10,000 ზეჩალი თვის პრიბორით თითო 5 კაბ.
- 5,000 ბოთლი შოკრეინისა და ხერესის თითო 1 მან.
- 2,000 არშინი კლიონკა 60 კაბ. 2 მან. არშინი.
- 2,000 დიუჟონი ყარანდაში და ყალმის ხელი 8 კ. 50 კაბ. დიუჟ.
- 2,000 გირვანქა ინდოეთის ბრანჯი 7, 8, 10 კაბ. გირვ.
- 1,000 გირვ. თვალთ-მაქცი ღე-ზიოშკა 50 კაბ. გირვ.
- 600 ინგლისის რეკლავები 4 მან. 34-მდი.
- 300 ინგლისის თოფი თითო 20-100 მან.
- ღრაპი, მაული, ტრიკო, ალბომები, საზამთრო პალტოები, ქუდები, შარვლები და ტანისამოსი ნახევარ ფასად. ინგლისის მალაზიაში. (40-17)